№ 96

კვირა, 5 მაისი 1896

1877—1896

# ივერია

№ 96

კვირა, 5 მაისი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 მაისს.**

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სასარგებლოდ უამინდობისა გამო გადიდო 19 მაისისათვის.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **ქნ. ოლღა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

## გამგეობა

სეტყვისაგან ნათესების დამზღვეველ საურთიერთო საზოგადოებისა (დაარსებულია 1877 წელს),

აუწყებს სოფლის მეურნეთა და პლანტატორებს, რომ ხსენებულის საზოგადოების კანტორა ტფილისიდამ კავკავში იქმნა გადატანილი. საზოგადოების რწმუნებულ კაცად კავკასიისათვის დანიშნულია ზ. ა. სიდომონოვი, რომელსაც, ვთხოვთ, მიჰმართონ ხოლმე მსურველთ, როგორც სოფლის მეურნეებმა და პლანტატორებმა დაზღვევისათვის, ისე მათ, რომელთაც საზოგადოების აგენტობა ჰსურთ. (3—6—3)

## კოჯორში,

გენეს სასტუმროს გვერდით იძლევა ქირით

8 ოთახიანი აგარაკი ყოველგვარის მოწყობილებით, ეზოთი და ჭით, დუქანი და პურის საცხობი ადგილი, ცალკ-ცალკე. დაწვრილებითი ცნობები მსურველს შეუძლიან შეიტყოს არნაუტოვისაგან, მისს საკუთარს მაღაზიაში, რომელიც იარმუკაზედ იმყოფება.

(3—56—3).

წლიური კრება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა** დანიშნული 4 მაისს ამა წლისა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 12 მაისისათვის საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნიურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1, ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდამ 1994 წ. 1 იანვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (6—1)

## კაბინეტი კბილის ექიმთა

**მ. ი. ჩიჩინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 5 მაისისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

ქუთაისიდამ ოლღა კიზირიასაგან 1 მან., დარია გოგიაშვილისაგან ოქროს საყურე, ოქროს ბეჭედი, ოთხი ბავშვის პერანგი; მართა ბეჟანის ასულის დემუროვისაგან—ორი ვერცხლის ბროშკა; ნატალია ლუკას ასულის თოთიბაძისაგან—ხავერდის ბალიში, აბრეშუმით ხელოვნურად ნაკერი; ფილიპე გურულისაგან ექვსი ჯვარი.

„წერა-კითხვის საზოგადოებამ" უკვე მიიღო საუცხოვო ოქრომკედნაკერი ძვირფასი ნივთები—ეკრანები, შირმები, ბალიშები და სხ., რომლებიც შესაკერადა ჰქონდათ შეკვეთილი.

## ახალი ამბავი

*** დღეისათვის დანიშნული ლატარია-ალეგრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ უამინდობის გამო გადაიდვა 19 მაისისათვის. როგორც გვქონდა უკვე მოხსენებული, წრეულს, წარსულ წლებთან შედარებით, ნივთები ერთი სამად მეტია და უფრო ძვირფასიც; მათ შორის ბევრი საუცხოვო და ხელოვნურად აბრეშუმით ხავერდზედ ნაკერი ნივთებია. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ ჩვენი ქართველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეპყრობა ხსენებულს საზოგადო საქმეს და სცდილობს თვით საქართველოს შორეულ კუთხიდამაც-კი ღირსეული წვლილი მიაწოდოს მას. ამიტომ სრული იმედი გვაქვს არც ამ დღეს მოაკლებს პატივცემული საზოგადოება თავისს ყურადღებას ხსენებულს ლატარია-ალეგრის და თავისის თვალით ჰნახავს, თუ რა შეუძლიან საზოგადო თანაგრძნობას.

*** მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის წმ. დაგვირგვინების დროს დღესასწაულობის პროგრამის შესადგენად შესდგება განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქალაქისა, ისე სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა და სამღვდელოების წარმომადგენელნი.

15 მაისს ალექსანდრეს ბაღში საიმპერატორო სახლის სამინისტროს ხარჯით სადილი იქმნება გამართული 3 ათასი კაცისათვის.

*** 28-სა, 29-სა და 30 მაისისათვის ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. კრებაზედ განხილულ იქმნება შემდეგი საგნები: თუ როგორ იქმნას განაწილებული ის 5,000 მან., რომელსაც ამ მიმდინარე წლისათვის თხოულობს უწმიდ. სინოდი ქუთაისის სასულიერო სემინარიისათვის და სანთლის ქარხნის საქმე.

*** ამ დღეებში ქუთაისიდამ ჩამოვიდა ქ-ნი როზალია ივანეს ასული მეფისაშვილისა და ჩამოიტანა თავისს ხელით ხელოვნურად ხავერდზედ ნაკერი ვეფხვის-ტყაოსანის პირველი სურათი, როდესაც უკვდავი შოთა თავისს ვეფხვის-ტყაოსანს თამარ დედოფალს მიართმევს. ნაკერობა ამობურთულია, ფერადები ცოცხლად და მშვენივრად არის შეხამებული სურათის შინაარსის გადმოსაცემად, ნაკერია ოქრომკედით, ადგილ-ადგილ მარგალიტით და სწორედ საუცხოვო სანახავია. სურათს ორი არშინი სიგანე ექნება და არშინ-ნახევარი სიმაღლე; გამოკიდულია იგი „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზგადოების" კანცელარიაში.

როგორც თვითონ ქ-ნმა მეფისაშვილისამ გადმოგვცა, ოთხი წელიწადი თურმე, რაც ამ სურათსა ჰკერავს. სწორედ სანაქებო და სამაგალითოა, როგორც თვითონ ხელოვნება, ისე ის ერთგულობაც, რომელიც ამ ქალს ჰქონია.

## ფელეტონი

### პირველი შხამი.

(სურათი)

.....აწ ბეწვის ხიდი განვლილი იყო... ბრწყინვალედ დასრულდა უკანასკნელი გამოცდა და თინათინი, სანეტაროდ ამღელვარებული, არეულის ნაბიჯით გამოვიდა გამოსაცად დარბაზიდამ.

ამავე დროს იგი ისეთს თავისუფლებასა გრძნობდა, როგორათაც გალიიდამ გამოშვებული ფრინველი და, სწორედ ამ ფრინველსავით გამხიარულებულს, გულზე რაღაც სიტკბოების ნაკადული აწვებოდა, თვალებ წინ უცნაური ბინდ-ბუნდი უქროდა და ამხანაგთა სახეები ერთ დიდ დაუსრულებელ სურათად ეხატებოდა, რომელსაც თითქოს ლეჩაქი ჰქონდა გადაფარებული.

თინათინი ყველას უღიმოდა, ეალერსებოდა, წრფელის გულით სწირავდა მადლობას მოლოცვის გამო და მზად იყო ის ნეტარი ნაკადული სიკეთისა, გულის სიღრმეში მოჩხრიალე,—მათდა ძღვნად გადმოენთხია; თუმცა-კი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ბევრს ამხანაგთაგანს მისი გამარჯვება მწარე კაეშანს აუშლიდა და ბოროტ-მახვილ სიტყვის დაკვესების სალერღელს გაუღვიძებდა.

მაგრამ თინათინის არსება ახლა ძალიან შორს იყო ამგვარ ეჭვიანობაზე. იგი უზომო ბედნიერებასა გრძნობდა და ბედნიერება ხომ ის ბასრი ცელია, რომელიც კაცის გულში ძირიანად ჰთიბავს ყოველნაირ ეკლნარს ეჭვისა და ბოროტისას.

ეს დღე თინათინისათვის მრავალმნიშვნელოვანი დღე იყო. ჯერ ერთი—სწავლა დაამთავრა, დაამთავრა და მერე სამაგალითოდაც,—მეორე—ამიერიდგან ფეხი უნდა შეედგა ნამდვილ ცხოვრების პირველ საფეხურზე, იმ ცხოვრებისა, რომელიც ზღვასავით მიმზიდველიც იყო და საშიშიც, დღეს სარკესავით რაკრაკებდა, ეალერსებოდა, დედის ნანასავით ტკბილად გაძინებდა, ხვალ-კი იყო ქინიანი, ჯოჯოხეთსავით პირქუშად მომღელვარე და ზეცის რისხვასავით ზარ-დამცემი.

აქამდის იგი მხოლოდ არსებობდა და ამ არსებობას ძალიან მცირედ ეტყობოდა ნაპერწკალი თვით-ცნობიერებისა. ეს არსებობა თინათინის თვალში არა სასიამოვნო სიზმარსა ჰგვანდა, რომელიც მაგრე რიგად არ აწუხებს კაცს, რადგანაც გრძნობს, რომ სიზმარია და მალე უნდა გათავდეს, ზლაზვნით მისდევს მის მიმდინარეობას, არ უძალიანდება, მომლოდინე უკეთესის მერმისისა.

დღეიდგან-კი, როცა „სიზმრის" საზღვარი განვლილი იყო და თინათინი მიახლოვებოდა „სიცხადის" ხიდსა, სულ სხვა ცხოვრება უნდა დაწყებულიყო.

მაგრამ, როდესაც ქალი მომავალ ცხოვრების შესახებ ფიქრობდა—იმის აზროვნების თვალთა-ხედვის წინ აღიმართებოდა ხოლმე ბინდ-ბუნდით მოცული, უცნაური, უზარ-მაზარი „კითხვითი ნიშანი", მთლად მოფენილი ათასგვარის მოხაზულობით, რომლებსაც, თითოეულს ცალკე, თავისი საგასაღებო სარკმელი ჰქონდა.

თინათინი გრძნობდა ხოლმე, რომ ეს „კითხვითი ნიშანი" ცხოვრების უმთავრესი კარები იყო და ის მოხაზულებანი-კი — მისი ნაწილები — პაწია კარებები. ყოველს მათგანს კაცი სხვა-და-სხვა გზით მიჰყავდა—ერთს—ბედნიერებისაკენ, მეორეს—უბედურებისაკენ და დიდი გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა, რომ შეცდომა არ მოჰსვლოდა, რადგანაც პირველი შეცდომა თითქმის რომ უკუდაუბრუნებელი იყო...

რომელი კარები აერჩია, ან სად ეშოვნა მისი გამღები საიდუმლო გასაღები—აი, ის გამოურკვეველი აზრები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანში ხშირად ევლინებოდნენ თინათინსა.

მხოლოდ ეს არ იყო წუხილი იმ კაცისა, რომელიც მისდგომია ერთს გაუვალსა და უდაბურს ადგილს და არ იცის რომელ მხარეს წავიდეს... არა, ეს იყო ჩვეულებრივი ინსტიქტიური სულთა-სწრაფვა მერმისის გამოცნობისადმი, წინამორბედი ნაპერწკალი თვით-ცნობიერებისა, რომელიც ყოველთვის თვითვე ეგზნება ხოლმე კაცის არსებაში, როცა მოახლოვებულია ამა თუ იმ ყოფა-ცხოვრების შეცვლის დრო.

და რადგანაც ქალის მიუჩვეველს გონებას, გაუწრთვნელსა და გამოუბრძმედელსა, ვერ მოენელებინა მრავალნაირი ფიქრი და მოძრაობა აზრებისა, ამიტომ გარს ხშირი ბურუსი შემოეხვევოდა ხოლმე. დღეს ეს ბურუსი ერთი ორად და სამად იქცა, როცა თინათინი, ამხანაგებს განშორებული, ცალიერ დარბაზის ერთ კუნჭულში მიმჯდარიყო და ფიქრთა მორევს მისცემოდა. მაგრამ დიდხანს არ მოუხდა ამ ჯანღში უგზო-უკვლოდ ღოღიალი, რადგანაც უცბად ნატყორცნმა ისარსავით ბასრმა შუქმა გააპო ეს ბურუსი და თინათინს გარშემო ნათელი მოჰფინა. ამავე დროს ამ ნათელზე ფეხ დაუკარებლივ გადმოეშო ერთი ჰაეროვანი მშვენიერი არსება, რომლის განცდასთან ერთად თინათინმა კინაღამ არ შეჰკივლა „დედაო", თუმცა, თავისის მხრით, გულმა უტკბესს სიმებს ჩამოჰკრა და ეს სიტყვა ტკბილ-ხმოვან ჰანგზე გაიმეორა.

II

როგორათაც გზა-დაბნეულს მეზღვაურს რამდენსამე ფერად მოგზნებარე კანდელი ჰყავს გზის მაჩვენებლად, ასევე თინათინს—ყოველ სულიერ გაჭირვებაში—დედა ჰყავდა მხსნელად.

არამც თუ სიტყვა, მშობლის მიერ წარმოთქმული ნარნარის ხმით, არამედ მარტო მისი გახსენებაც-კი დამამშვიდებლად ჰმოქმედებდა თინათინზე. არა ყოფილა ისეთი მწვავე წუთები მისს მოკლე-ხანოვან ცხოვრებაში, რომლის სანეტაროდ შეცვლა არ შესძლებოდეს დედის სახეს, ქალის ოცნებით განხორციელებულს. მისი სიახლოვე ხომ ისე ჰმოქმედებდა თინათინზე, როგორათაც თბილი წყალი ადამიანის გათოშილს სხეულზე.

თინათინისათვის, რომელსაც მამის ხსოვნა სრულებითაც არ ჩარჩენოდა მეხსიერებაში, დედა ყველაფერი იყო. მასში განხორციელებულიყო მიზანი

*** წრეულს საჯდომ ცხენებისა და ერთის წლის კვიცების გამოფენა ტფილისში სექტემბერში იქნება. დასაჯილდოებლად კომისიის მიერ მოწონებულ საჯდომ ცხენებისა, რომელნიც უნდა იყვნენ სამისა, ოთხისა, ან ხუთის წლისა, გადადებულია 400 მან. ხუთი ბრინჯაოს მედალი და ხუთიც ქების ფურცელი (ПОХВАЛЬНЫЙ ЛИСТЪ); ერთის წლის კვიცების „პრემიათ“ კი 100 მან. ფული, ვერცხლის მედალი, ერთი ბრინჯაოსი და ერთიც ქების ფურცელი. თითო საჯდომ ცხენს „პრემიათ“ 100 მან. მეტი არ მიეცემათ; კვიცებისათვის გადადებული 100 მან. ამ ნაირათ იქნება განაწილებული: 1) პრემია 30 მან., 2)—25 მან. 3)—20 მან., 4)—15 მან. და 5)—10 მან. ვერცხლის მედალი მიეცემა მარტო იმას, ვისიც კვიცი პირველი პრემიის (30 მან) ღირსად იქნება ცნობილი, თუ პატრონი ფულის მიღებას არ ისურვებს.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ნივთები, რომელიც დღემდის შეუწირავთ სხვა-და-სხვა პირთ „ტფ. თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ქალთა კომიტეტისათვის“, ამ უკანასკნელმა „ქ. შ. წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ გარდასცაო.

*** ამ დღეებში ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დეპეშა მოუვიდა პეტერბურგის რკინის გზის სამმართველოდამ, რომ 1894 წლის მოგებიდამ 67 ათასი მანეთი გადაიდვა ჯილდოდ კავკასიის ამიერ რკინის გზის მოსამსახურებთათვისო.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნის ივანე როსტომაშვილის გამოცემა № 9 „შიო თავადი“. ძველი თქმულება, პოემა დ. ნინოწმინდელისა, და № 10 „როგორ ცხოვრობენ ჩინელები?“ ი. ცისკარაშვილის მიერ. პირველი წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ღირს 15 კაპ., ხოლო მეორე შეიცავს 42 გვერდს, წიგნს ჩართული აქვს შიგ ჩინელ ქალისა და კაცის სახეები და ღირს აბაზად.

*** 3 მაისს ღამით მტკვარმა ძლიერ იმატა. მადათოვის კუნძულის გარშემო ნაპირები მთლად წალეკა. ამავე კუნძულთან მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ დილის მეცხრე საათზედ ჩამოიქცა თავადის გ. ორბელიანის სახლები, რომლის ერთი ნაწილიც შარშან ჩამოიქცა. დანარჩენიც საშიშს მდგომარეობაშია. როგორც სთქვეს, ჩაქცეულს სახლებში მუშები მდგარან, მაგრამ ქვეშ არავინ მოჰყოლია, რადგანაც სამუშაოდ ყოფილან გასულნი.

რიყე წყლით გაივსო. დესიმონოვის ქუჩაზედ წყალი თავისუფლად მიდის. რიყის ქუჩაზედ ორს ადგილას წყალია ამოსული, რის გამოც ცხენის რკინის გზის ვაგონების მიმოსვლა შეჩერებულია. ხალხი ეტლებითა და ნავებით დადის. მრავალი სახლები და ეზოებია წყლით გავსილი. ამ ადგილებში მხოლოდ ნავებით-ღა დადიან ხალხის შემწეობის აღმოსაჩენად. ჯერ არავინ იცის, იმსხვერპლა ვინმე წყალმა თუ არა.

გუშინ დილით წყალმა ცოტათი იკლო.

*** ფოთი: აპრილის ოცდა რვას დილით, აქ ერთი უბედურება მოხდა. ხელოსანის პ. ტორონჯაძის მეუღლემ თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი თავის დახრჩობისა, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ ცუდის ყოფაქცევისათვის ქმარს შეუშჩნევია და რამდენჯერმე უცემია; ამ გვარათვე უცემია დილითაც და თვითონ თავისს საქმეზედ წასულა. ნაცემ ადამიანს სახლის კარები ჩაუკეტია და იქვე კედლის ლურსმანზედ თოკით თავი ჩამოუხრჩვია.

*** ახალ-სენაკი: 21 აპრილს, კვირას, აქ ბ-ნის მ. დიდებულიძის თაოსნობით სალიტერატურო საღამო იქმნა გამართული უფასოდ. ამ საღამოზე დამსწრეთ ბუნდოვანი სურათებიც უჩვენეს, რამაც დიდად ასიამოვნა ყველანი, განსაკუთრებით-კი პატარა ბავშვები, რომელთა სიცილ-კასკასს და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და იძახოდნენ: „კიდევ, ბატონო, კიდევ“-ო! ბუნდოვანი სურათების გამართვაში ხელი მოუმართა პატივცემულს მ. დიდებულიძეს სამეგრელოს სასულ. სას. მასწ. ს. მატარაძემ. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი დიდებულიძე იმ ერთგულ და გულწრფელ სამსახურისათვის, რომელსაც იგი სხვა-და-სხვა საზოგადო და საქველმოქმედო საქმეს უჩენს, მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი მატარაძეც.

*** ს. ჭიათურა, (შორაპნის მაზრა): 30 აპრილს ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა აქ. დილის 9—10 საათი იქნებოდა, რომ მდ. ყვირილაზედ ბორანით გადიოდა რამდენიმე კაცი, ბორანზე რამდენიმე სული საქონლებიც იყო შეყენებული. როცა ბორანმა შუა ადგილას მიაწია, ვეღარ აიტანა ნამეტანი სიმძიმე, ბორანი წყალმა ჩასძირა და თან ჩაიტანა ორი კაცი, ერთი დიდი და მეორე პატარა ბავშვი ასე იქნებოდა 8—10 წლისა. უფროსი, როგორც იყო იქვე, ამოიყვანეს, მაგრამ პატარა ბავშვი-კი მდინარემ გაიტაცა. მთელი ჭიათურაში მყოფი ხალხი მუშა, და არა მუშა გაღმა-გამოღმიდამ შეჰყურებდნენ ამ სამწუხარო იმბავს, მაგრამ არც ერთს იქ მყოფს ის არ მოუფიქრებია, რომ წყალში ჩასულიყო და საწყალი ბავშვი სიკვდილისაგან როგორმე დაეხსნა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ წყალი იმ დღეს ძალიან ნაკლები იყო და ადვილად შეიძლებოდა ბავშვის გადარჩენა. ბავშვი შემდეგ მდინარემ ორ ვერს ქვევით გააგდო ნაპირზედ, შუა პალაში, მაგრამ სული უკვე დაელია და ვეღარა უშველეს-რა.

ბავშვი მათხოვრად ჩამოსულ ბერძნების შვილი აღმოჩნდა.

*** ს. ძეგვი: 30 აპრილს მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი ს. ძეგვში. აქ მდ. მტკვარზე ბორანი არის ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანად. ბორანი ამ ბოლო დროს ძლიერ გაფუჭებული და საშიშს მდგომარეობაში იყო. რაკი ასე სახიფათოთ დაინახეს ბორანი, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეკეთება დაუპირეს წყალშივე და ამ შეკეთების დროს, როცა ბორანი ერთს ხეს მიაბეს ხეც და ბორანიც მოგლიჯა მძვინვარე ტალღებმა და ბორანზე მდგომნი ყველანი დიდის ვაი ვაგლახით გადაარჩინეს, ხოლო ერთი ამათგანი ვასილ მდივანი კი დაიღუპა. დამრჩვალი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვეღარ იპოვნეს.

## კორესპონდენცია.

**ს. ჯუმათი,** (ოზურგეთის მაზრა). აქ ძლიერ დიდი ზამთრობა იყო, დღესაც ჯუმათის მონასტრის სიახლოვეს ერთი ადლის სიმაღლე თოვლია; დიდმა თოვლმა და მეტადრე წვიმიანმა ამინდებმა ბევრი გორები მთლად მოაზვავა; გზები წამოსულ ზვავებისაგან ისე დაზიანებულია, რომ მიმოსვლა ცხენით თითქმის საძნელოა; დიდმა თოვლმა რამოდენიმე შენობა დაანგრია, ადამიანი არსად უმსხვერპლია, მაგრამ რამოდენიმე მოსახლე: ფირცხალაიშვილები, ჩხარტიშვილები, დარჩია, ფაცურია და ართილაყვა 13 კომლამდის-კი დიდს გაჭირვებაში არიან. რადგანაც თოვლისა და დიდის წვიმების გამო მათი ეზოები მეტად დაშავებულია; სახლები სადაც იდგა იქ აღარ არიან, ორი სამი საჟენის დაცილებით ან განზე არის წაღებული, ან სიგრძეზე. ერთი ოთხ-ხუთხი ვერსის მანძილი, სადაც მცხოვრებლები სახლობენ, სრულებით წარღვნილია, ასე გეგონებათ მიწა გუთნით დაუხნავთო. ბევრი კაკლის ხე ძირიდამ წვერამდე შუა გაპობილია. ეს გარემოება ბ-ნ მაზრის უფროსს აცნობეს და ამ დღეებში მობრძანდა ბ. ბოქაული და ოქმი შეადგინა. ზარალი შეფასებულია და, თუ არა ვსცდები, 2000 მანეთამდის არის. უკეთუ ესენი დროიანად არ გადასახლდნენ უფრო საღ ადგილებში და ზაფხულის ხანგრძლივმა ნიაღვარმა მოუსწრო, უეჭველია ამათაც ის უბედურება ეწვევათ, რაც 24 აპრილს ხრეითლებს დღე დაადგათ.

ს. ი, ერ—შვილი,

## ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

27 აპრილი.

(შემდეგი)

თ. ილ. ჭავჭავაძე კითხულობს შემდეგს ადგილს რევიზორის მოხსენებისას:

„ყველა იმ წიგნთ, რომელნიც უმთავრესს წიგნებს ჰქვეიან, ისეთი უწესობა (небрежность) ეტყობათ, რომ ბუღალტერის თვალით რომ შეხედოთ—მათ არავითარი ღირსება არა აქვთ; გარდა მცირე რაოდენობისა, ისინი უფრო შენიშვნებსა ჰგვანან ამა თუ იმ საჭირო წიგნის შესადგენად აღნიშნულს. ეს წიგნები ერთი-მეორესთან მოუხერხებლად შეკინძულნი არიან, ერთი მეორეს ვერა ჰხსნიან და ვერ ამოწმებენ, ჩაწერილები ერთმანეთში არეულან და არსად არ არის აღნიშნული შემაერთებელი გადატანა (транспортъ) და ჯამი“.

მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ მას, რომ უმთავრესნი წიგნები წესიერად არიან შემდგარნი და განსაკუთრებული უწესობა (небрежность) ეტყობათ მხოლოდ საშველ წიგნთ. ვაჭრობის წესდების ძალით მხოლოდ უმთავრესნი წიგნები უნდა იყვნენ სავალდებულონი და ისინი, ბ-ნ რევიზორის სიტყვით, გარკვევითა და წესიერად შემდგარნი და წარმოებულნი, ხოლო ყველა დანარჩენთ-კი, რომელთაც საშველი წიგნები ეწოდება, თვით ბუღალტერი ადგენს, ანუ თავისის შეხედულობის და საჭიროების გვარად, ანუ გამგეობის მოთხოვნილებით. მხოლოდ მისათვის-კი, რომ მან მითი გაიადვილოს საბუღალტერო ანგარიშების წარმოება. აი, სწორედ ამ საშველ წიგნთ უწესობაზე გვითითებს რევიზორის მოხსენება. და ამას მეც არ უარ-ვყოფ. მაგრამ, ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ აწარმოებდა ამ წიგნებს ასეუწესოდ? აი, ის უსიამოვნება ესრედ წოდებულის ოპოზიციისათვის, რის შესახებაც მე ზემოთა ვთქვი. ამათ ასე აწარმოებდა ოპოზიციის საყვარელი ბუღალტერი თ. ფავლენიშვილი, შრომის მოყვარე და სვინიდისიანი კაცი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა,—ცუდი ბუ-

---

მისის არსებობისა, ამის გამო ქალწულის ფაქიზ წარმოდგენას მშობელი ყოველთვის კდემა-მოსილად და წმიდანად ეხატებოდა.

მეტის-მეტი ძლევა-მოსილი იყო ეს სიყვარული შობილისა მშობლისადმი. მას ჩვენ მარტო დედა-შვილურ გრძნობად ვერ ჩავთვლით... არა, ის იყო უფრო ძლიერი, უფრო მგზნებარე!.. ის იყო თვით ვნებათა ღელვა, მხოლოდ განფაქიზებული, განბანილი მშობლიურ ნაკადულში... თინათინის ნორჩსა და ჰასაკოვანს გულს ჰქონდა ბუნებრივი მოთხოვნილება სიყვარულისადმი და, რადგანაც ცხოვრებაში ჯერ ისეთი არავინ შეჰხვედროდა, რომელსაც მოეტაცნა მისი არსება სხვა გვარის მისწრაფებით,—ქალს ყოველი მიმოხვრა სულისა, სიყვარულის ყოველგვარი სახება—ერთ რუსხმულში მოექცია, ერთ ნაკადულად გადმოესხურა გულიდამ და ჯერჯერობით ერთსა და იმავე სამსხვერპლოსათვის შეეწირა—დედისათვის...

ეს გრძნობა მით უფრო იყო განმტკიცებული, რომ დედისაგან მაგიერსავე ჰხედავდა. სანეტარო სიზმრად ჰქონდა ჩარჩენილი თინათინის ოცნებას ის კვირა დღეები, რომლებსაც დედის სიახლოვეს ატარებდა. უფერულ და სიყალბეზე აშენებულ ცხოვრების შემდეგ დედის სახლში მისვლა თინათინისათვის სამოთხეში ჩავარდნას ედარებოდა; მაშინ, როდესაც სასწავლებელში ყველა გრძნობა ნაძალადევი იყო, აქ, დედასთან სიყვარულიც, პატივისცემაც თავისთავად იბადებოდა, როგორრათაც ბუნებრივი მოთხოვნილება.

და სწორედ ამიტომაც ისე შეუთამაშდა ქალს გული, როცა დედა წარმოუდგა, მხოლოდ—იმ წამსვე სახე მოეღუშა, რადგანაც მოაგონდა, რომ დედას საღამომდის ვერა ჰნახავდა. თინათინი „პანსიონერკა“ იყო და მხოლოდ შაბათობით შეეძლო წასვლა დედასთან, რომ კვირაც იქვე გაეტარებინა.

დღეს შაბათი იყო, მაგრამ, პირობისამებრ, დედა საღამომდის არ მოვიდოდა მის წასაყვანად და ამ გარემოებამ ძალიან დააძმარა ჩვენი თინათინი. ახლა მხოლოდ 12 საათი იყო.

— პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე,—მთელი ხუთი საათი კიდევ დამრჩენია, ღმერთო!—სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა ქალმა და სახე სასაცილოდ დაპრანჭა.—არა, არ შემიძლიან... დაუმატა გაბრაზებით და ფეხზე წამოიჭრა.—წავალ დავეთხოვები, იქნება გამიშვან!.. და, თუმცა იმედი არა ჰქონდა, მაგრამ მაინც უფროსისაკენ გაქანდა.

თინათინი ისეთის დაღრეჯილის სახით გამოეცხადა სასწავლებლის უფროსს ქალს, რომ იმ პატივცემულმა მანდილოსანმა, რომელიც, აქვე შევნიშნავთ, მეტად კეთილი გულის პატრონი იყო და ავი სახისა, შეიწყნარა მოსწავლის თხოვნა და ნება დართო სახლში წასვლისა.

— ეს იცოდეთ იმიტომ, რომ სამაგალითოთ დაამთავრეთ „კურსი“—დაატანა თან სასწავლებლის უფროსმა და ტკბილად გაუღიმა. თქვენ თითონ გინდათ განა ახაროთ დედას, რომ გაიმარჯვეთ?... ძალიან კარგი... ძალიან კარგი!..

თინათინს ისე გაეხარდა ეს ამბავი, რომ რევერანსის გაკეთებაც-კი დაავიწყდა და აღარც მოჰგონებია, რადგანაც საჩქაროდ დაიხურა „შლიაპა“ და სახლისაკენ გაუდგა.

III

— ღმერთო, რა მოულოდნელი იქნება ჩემი მისვლა!.. ის ხომ სრულიადაც არ მიმელის... რაგვარად გაჰკვირდება, როდესაც ქურდულად შევიპარები სამზარეულოს კარებით და, ოთახში მოფუსფუსეს, კისერზე მოვეხვევი!..

ასე ფიქრობდა გზად მიმავალი თინათინი და სახე თან-და-თან ელიმებოდა, უნათლდებოდა საამო წარმოდგენის ზედ გავლენით...

— ვენაცვალე, მგრძნობიერად წარმოსთქვა თინათინმა და შემკრთალმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგონაო. ახლო-მახლო არავინ იყო, შორით ეტლების დრიგინ-დრიგინი მოისმოდა და მორიდებით ქუჩაზე პოლიციის მოხელე ვილაცას ეკამათებოდა.

— ვენაცვალე—განიმეორა, ფიქრით—კვლავ თინათინმა და თვალწინ წარმოუდგა მთელი ის სურათი, რაც პატარა ხნის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

— დედამ, რასაკვირველია, არ იცის—როგორ გათავდა ჩემი გამოცდა.— განაგრძო კვლავ თინათინმა ოცნებითი საუბარი—არც ის იცის, რომ უფროსმა მომილოცა და მითხრა,—მედალი, უეჭველად თქვენ გერგებათო... ღმერთო!.. რა ნეტარებაა!.. რა ბედნიერებაა!.. ბედნიერი ვარ იმით-კი არა, რომ მე მხვდა წილად ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება, არა ბედნიერი ვარ მიტომ, რომ ამით სხვასაც ვასიამოვნებ...... როგორ-თუ სხვას?—გაიკვირვა თითონვე და ტუჩები ისე აპრუწა, თითქოს უნდოდა ეთქვა „ეს რა სულელობა წამოვროშეო?“ — დედას განა „სხვას“ უწოდებენ?—არა... სხვა-კი არა—„ის“ თვით „მე“ ვარ და „მე“-კი „ის“ არის!... მერე, როგორა მგავს და!.. აქ თინათინს თვალნათლივ წარმოუდგა ის სურათი, როდესაც ისა და დედა ხელიხელ გადაჭდილი, ვით ხის ტოტები, სარკეში იცქირებიან; ლოყა ლოყაზე მიუყრდნიათ, მხარი მხარს მისდნობია და ამ რიგად გაერთხორც-გაერთსულებულნი მისჩერებიან სარკეს, რომელიც ასე ჰგონიათ, ეს არის ენას ამოიდგამს და დაიძახებს „ერთნი ხართ, ერთნიო“!..

— მერე რა ახალგაზდაა! მშვენიერი!.. მე იმასთან თითქმის ბებერი ვჩანვარ!.. მაგრამ ის თავისს სიყმაწვილეს არაფრად აფასებს... თავისი სილამაზე მას აინუნში არ მოაქვს!.. „მე რაღად მინდა სილამაზეო?—მეტყვის ხოლმე...“ „ოღონდ შენ მყავნდე ლამაზი და ბედნიერიო!“—არა რად უნდა იყოს ასე? რად ვართმევ საკუთარ ბედნიერებას!.. ერთი ის ფიქრი რომ მე ვარ ამ ბედნიერების დამაბრკოლებელი მიზეზი გულს წყრომით მივსებს ჩემდამო!.. მაგრამ არა უშავს-რა, დედა!.. ვეცდები მაგიერი გარდაგიხადო!.. ვეცდები შენისთანა თავ-განწირული მშობელი ვიყო ჩემის შვილებისა!.. მაგრამ არა არ მინდა ქმარი!.. რა არის ქმარი? არაფერი!.. განა ქმარი გამიწევს დედობას? არა!.. როგორ? ჩემი გრძნო

გალტერი. 1893 წ. გამგეობის გარდაწყვეტილების ძალით იგი ბუგალტერი დავითხოვეთ. გაიხსენეთ ბატონებო, თუ რა ჭექა-გვრგვინვა ასტეხა ამაზე ოპოზიციამ და შეეხო იმ უფლებას გამგეობისას, რომელიც მისთვის მიუნიჭებია თვით კანონს, ესე იგი, უფლებას, რომ სამსახურიდამ დაითხოვოს ის ბანკში მოსამსახურე, რომელიც კენჭით არ არის ამორჩეული. მე იძულებული მყვეს ამ ჭექა-გრგვინვის გამო აქ, თქვენს წინაშე საზოგადო კრებაში, მეჩვენებინა ყველა ის უწესოებანი (небрежность-საშველ წიგნთა წარმოებისა, რომელ) ზედაც რევიზორის მოხსენება ეხლა გვითითებს. ეს წიგნები აჭრელებულნი იყვნენ კალმითა და კარანდაშით უგზო-უკვლოდ ჩაწერილებისაგან, ყოველს სიგძე-სიგანეზე, ერთის მხრიდამ მეორემდე. იქ ჩაწერილებს მხოლოდ თ. ფავლენიშვილი გაიგებდა ხოლმე და სხვას ვერავის ვერ შეეძლო იქიდამ რაიმე ცნობა ამოეკითხა. ეს ჩაწერილები ხანდახან აქა-იქ მიმოფანტულს ქაღალდის ნაკუწებზე იყვნენ ხოლმე აღნიშნულნი. ყველა ეს მე მოვახსენე მაშინდელს საზოგადო კრებას და თვით თ. ფავლენიშვილმა დაამოწმა მათ წინაშე ჭეშმარიტება ჩემის განცხადებისა. ესრედ წოდებულმა ოპოზიციამ კინაღამ ბრალდებულთა მდგომარეობაში ჩამაყენა თ. ფავლენიშვილის სამსახურიდამ დათხოვნისათვის. და ეხლა-კი იგივე ოპოზიცია შეჰხარის რევიზორის სამართლიანს მოხსენებას საშველ წიგნთა უწესოების შესახებ და ის-კი ავიწყდება, რომ ყოველივე ეს იმას ეკუთვნის, ვისათვისაც ისინი თავ-გამოდებულნი იყვნენ და ვინც ჩვენ სამსახურიდამ დავითხოვეთ.

რა-კი ახალი ბუგალტერი დავნიშნეთ, მას აქედ ზემო აღნიშნულნი წიგნები, როგორც თვით რევიზორის მოხსენება ამბობს, უმჯობესდებიან და წესიერება ეტყობათ; მაგრამ რომ ერთხელ და სამუდამოდ წიგნები, ოცის წლის განმავლობაში წარმოებულნი, წესიერებაში მოვიყვანოთ, საჭიროა დრო, რადგან ცნობასა და წესიერებაში მოყვანა ამოდენა ხნის საშველ წიგნთა, რომელნიც წარსულ წლებში ნაკუწ-ნაკუწ ქაღალდებად გარდმოსცა სამემკვიდროდ თ. ფავლენიშვილმა ახალს ბუგალტერს, ძალიან ძნელი საქმეა და დიდს დროს თხოულობს.

რაც შეეხება საქმეთა წარმოებას, ამაზე მინისტრის ქაღალდი გვეუბნება, რომ ვერც ეს არის რიგიანადო. საქმეებს სიები არა აქვთ შემდგარი შიგ ჩაკერებულ ქაღალდებისა, შავად დაწერილნი (черновыя) ქაღალდები ხელმოწერილნი, შემოწმებულნი არ არიან და არ არის არხივიო. ყველა ეს მართალია. შავად დაწერილნი ქაღალდები ხელმოუწერელნი არიან—დღეიდამ ხელს მოვაწერთ; საქმეში ჩაკერებულ ქაღალდებს სიები არა აქვს—იმათაც შევადგენთ. გვეუბნებიან არხივი არა გაქვთო. მაგრამ რა არის, რომ ვსთქვათ, ეს არხივი? ნუ თუ ეს ის ოთახია მართლა, რომლის კარებზედაც მიწერილი უნდა იყოს: „ესე არს არხივი“ და, სადაც განსაკუთრებული მოსამსახურე პირია, რომელსაც არხივარიუსი ეწოდება, თუ ეს წიგნთა და საბუთთა შესანახი ადგილია? მე მგონია, რომ არხივი წიგნთა და საბუთთა შესანახი ადგილია და ჩვენ ეს ადგილი გვაქვს. რამოდენიმე შკაფი გვაქვს ამისათვის ჩვენ, სადაც წიგნები და საბუთები რიგზედ არიან მოთავსებულნი. ყველა ამათ შეერთებულად, თუ თვითველ შკაფს ცალკე არხივი ერქმევა, თუ არა,—ეს სულ ერთია, რადგან ამისაგან არ იკარგება წიგნთა და საბუთთა შესანახავ ადგილის მნიშვნელობა. გინდათ მაინც და მაინც ცალკე ოთახი ამისათვის,—გვიბოძეთ ეს ცალკე ოთახი, რომელიც ამ ჟამად ბანკის სადგურში არ არის, მოგვეცით მოსამსახურე პირი, რომელსაც ჩვენ არხივარიუსს დავუძახებთ,—და თქვენ გექნებათ არხივი გარეგანის მხრითაც მოწყობილი, რადგანაც საქმით ეხლაცა გაქვთ: ერთი სიტყვა ბრძანეთ და რომელი საქმეც გინდათ ეხლავ მოგართმევენ. და აი, ყველა ჩვენი შეცდომები ამ მუხლის შესახებ. მადლობა ღმერთს, ბატონებო, რომ მეტი ვერა აღმოჩნდა-რა და არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქმეთა წარმოებაში სხვა უფრო შესანიშნავი შეცდომა და წინდაუხედაობა არ არის.

შემდეგ ამისა უკანასკნელი მერვე მუხლი-ღა დაგვრჩა განსახილველად მინისტრის ქაღალდისა, რომელიც აი რას გვაუწყებს:

„Убытки банка маскировались по балансамъ и отчетамъ показаніемъ ихъ возвратными расходами“.

აქვე აღვნიშნოთ ამის შესაფერი ადგილი რევიზორის მოხსენებისა, რომელიც საფუძვლად დაედვა ასეთს დასკვნას:

„ყოველი თითოეული ნაწილი ბალანსისა შემოწმებული იყო საჭირო წიგნებით და იმ მასალით, რომლის შესახებაც ნათქვამი იყო მოხსენების სხვა-და-სხვა მუხლებში და აგრეთვე ცნობები იყვნენ შეკრებილნი კორესპონდენტებისაგან. აღმოჩნდა, რომ ყოველი ნაწილი ბალანსისა სწორი იყო და შეთანხმებული კასსასთან საჭირო ცნობებით უმთავრესის წიგნისა. ამ შემთხვევაში ერთი უნდა შეინიშნოს შესახებ წარსულისა და აი რა: იყო დრო, როდესაც დიდის ხარჯების გამო, რომელიც ბანკს მოუვიდა ძმათა არწრუნის სახლის შესაკეთებლად და რომელიც აღემატებოდა ბანკის მაშინდელს შემოსავალს, თანხა ამ საგნისათვის დახარჯული, ბანკმა მოაქცია დასაბრუნებელ ხარჯთა რიცხვში, რის გამოც ეს ხარჯი წინანდელ ბალანსებში ნაჩვენები იყო დიდად და 1 იანვრის 1889 წლის ბალანსში იგი გამოისახა დიდ ჯამად 177,070 მ. ამავე დროს ბანკი ყოველ წლივ, თანდათან იბრუნებდა ნაწილს ამგვარად დახარჯულისას და ეხლა სულ უკან დაბრუნებული აქვს. ზემო აღნიშნული მოქმედება ბანკისა უნდა ჩაითვალოს უწესურებად და ბანკის საქმის ნამდვილის ვითარების დამფარავად იმ დროს, რადგანაც ბანკი მაშინ მართლა და ზარალის ნაცვლად აღნიშნავდა ხოლმე მოგებას, რომელიც არ იყო. ამ გარემოებას ვნიშნავ მხოლოდ მისთვის, რომ ბანკის ბალანსების განხილვის დროს შეიძლება სასარგებლო შეიქმნეს ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ბალანსი უნდა ჩაითვალოს მართლ-მაჩვენებლად ბანკის ფინანსიურის მდგომარეობისა“.

მერვე მუხლში მინისტრის ქაღალდისა ნათქვამია, რომ ზარალს „ნიღაბი ჰქონდა ჩამოფარებული“ (маскировались) მით, რომ ის ზარალი დასაბრუნებლად იყო ჩათვლილიო,—ნათქვამია ძლიერ სასტიკად და მრისხანედ. მოქმედება, რომლის შესახებაც ეს ნათქვამია, სულაც არ ამართლებს იმ განსჯას, რომელიც ამ სიტყვაში იხატება. აქ არავითარი ნიღაბი არ არის. რევიზორის მოხსენებას აღნიშნული აქვს მხოლოდ ერთი შემთხვევა დასაბრუნებელ ხარჯისა თეატრის გაკეთებისათვის მომხდარისა, რომელიც წარსულს შეეხება და იგი ხარჯიც დღეს სრულებით უკანვე დაბრუნებული. საქმე აი ასე იყო: თეატრის ასაშენებლად, მთელის ქარვასლის სადგომის შესაკეთებლად და სხვა-და-სხვა შენობისა და ცვლილებისათვის განწესებულზე მეტი დაიხარჯა, სულ 150,000 მანეთამდის, შეიძლება ცოტა მეტი, თუ ნაკლები. ამ საგნის შესახებ გამგეობამ შეადგინა ვრცელი მოხსენება და წარმოგიდგინათ თქვენ, ესე იგი, საზოგადო კრებას. ეს ხარჯი საზოგადო კრებამ მიიღო და დაამტკიცა; მხოლოდ იმის შესახებ თქვენს კრებაში აღიძრა შემდეგი კითხვა: მთელი ეს ხარჯი გამოვრიცხოთ ერთბამად ბანკის ერთის წლის შემოსავლიდამ, თუ ნაწილ-ნაწილ გამოვსწეროთ რამდენისამე წლის განმავლობაშიო? შეიქნა საშინელი კამათი—ზოგი ამტკიცებდა, რომ ერთბამად უნდა გამოვსწეროთ იმ წლის მოგებისაგან, როდესაც დავხარჯეთო; ზოგი-კი ურჩევდა, რომ გავანაწილოთ და რამდენისამე წლის განმავლობაში დავიბრუნოთ ბანკის მოგებიდამაო. ამ უკანასკნელ მრჩეველთ შორის მეც ვიყავი. თუმცა მაშინაც საბუთიანად მიმაჩნდა და ეხლაც მიმაჩნია მათი აზრი, ვინც ამბობდა, რომ ერთბამად გამოვსწეროთ ეს ხარჯიო, მაგრამ აღსრულებას ამ საბუთიანის მოთხოვნილებისას მოჰყვებოდა დახურვა საზნაურო სკოლისა, რადგანაც ამ სკოლის შესანახად აღარ დარჩებოდა საკმარისი თანხა მოგებისაგან, რომლიდანაც შესდგება საყოველთაო სასარგებლო თანხა და ამგვარად ორასზე მეტი ბავშვი ქუჩაში უნდა გარდაგვეგდო. მე ეს არ შემეძლო და ამისათვის ვსთხოვე საზოგადო კრებას ეს 150,000 მან. დასაბრუნებელ ხარჯში ჩაერიცხათ, გაენაწილებინათ ხუთის წლით და წელიწადში 30,000 მანეთი გამოეწერათ მოგებიდამ. საზოგადო კრებამ იმ უკიდურესის მდგომარეობის გამო, რომ არ დაეგდოთ სააზნაურო სკოლა არსებობის ყოველს სახსარს მოკლებულად, შეიწყნარა ჩემი სარჩელი სრულიად და მას შემდეგ მთელი ეს ჯამი აღინიშნებოდა ხოლმე ბალანსებში დასაბრუნებელ ხარჯად. მაშ სად უნდა ჩაგვეწერა, რადგანაც დასაბრუნებლად ჩავსთვალეთ და სად არის აქ „ნიღაბი“? განა ბალანსებში სადმე და ვისგანმე დასაბრუნებელ ხარჯთა შორის ნაჩვენებია მთელის ჯამის შემადგენელნი ნაწილნი ამგვარის ხარჯებისა? მხოლოდ ამის აღუნიშვნელობას შეეძლო მიზეზი მიეცა ეთქვათ, რომ ამ შემთხვევაში რაღაცას ნიღაბს აფარებენო და აი, ეხლაც ჩვენს ბალანსში დასაბრუნებელ ხარჯთა რიცხვში ნაჩვენებია თანხა საერთოდ შემდგარი და ის-კი არ არის ნაჩვენები, თუ რა ნაწილებისაგან შესდგა, მაგრამ ამ გარემოებას ვერავინ ვერ უწოდებს ნიღაბის ჩამოფარებას. ბოლოს ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რევიზორს აქვს აღნიშნული, რომ ეს ხარჯი ეხლა სრულიად უკანვე დაბრუნებული აქვთო. რევიზორი ამბობს, რომ ამგვარად ჩვენ გავაზვიადეთ მოგება ერთის წლისა. სრულიად მართალია. მაგრამ როდესაც შემდეგს წლებში ჩვენ ამ ანგარიშით ყოველ წლივ 30,000 მანეთს ვიბრუნებდით უკან და მოგებას ვაკლებდით, ცხადია, რომ

---

ბა უნდა გავანახევრო? ორ კერპს უნდა ვცემდე თაყვანსა? არა და არა!.. განა მთელი ჩემი სიყვარული იმას არ უნდა ეკუთვნიდეს, ვინც თავისს ყმაწვილ ქალობას ჩემზე აღამებს!.., ჩემით სულდგმულობს?!. შენ, შენ გეკუთვნის, დედა, ყოველი ჩემი მისწრაფება, თითოეული ძგერა ჩემის გულისა!..

— ღმერთო, რა კარგია, რა მშვიდია, რა წყნარია!.. თვალებში რომ ჩავხედავ ხოლმე, ასე მგონია თვით სათნოებისა და ქალწულებრივი სიწმინდის მორევში ვიყურები!..

— მერე, რა განუსაზღვრელის სიყვარულით ჰფეთქავს მისი სახე, როცა მე შემომცქერის!—ისე მეჩვენება, თითქოს ყოველი ნერვი „შენ გენაცვალე“-ს მეძახოდეს!..

აქ თინათინის ოცნების ქსოვილს თვალი ჩაეშალა, რადგანაც მარცხნივ აუხვია და დიდ ქუჩაზე გავიდა, რომელზედაც ხალხი ბუზსავით ირეოდა.

ბუნება გაზაფხულობდა და ხალხი გარეთ გამომზევებულიყო.

რა კარგია ეს დილოცვილი მაისი!.. რას იტყვი, მკითხველო, საშინლად არა ჰგავს იგი 16—17 წლის ქალწულს, ნარნარსა და კოპწიას, რომელიც ირგვლივ სიცოცხლეს მიმოაფენს?! ღმერთმანი, ჰგავს!..

ეს მსგავსება ძლიერია უფრო იმით, რომ, როგორც ქალწულში, აგრეთვე მაისშიაც, სილამაზის გარდა, არის სხვა რაღაც საიდუმლო ძალა, თვალის დამატყვევებელი!.. ძალა, რომელიც კაცის არსებაში მშვიდობასა ჰქმნის და გულის სიღრმიდგან მადლობას აღმოახეთქინებს ხოლმე შემოქმედის მიმართ, ასეთის კეკლუცის გაჩენისათვის!..

ეს ძალა უნდა იყოს ის სილაღე და სიფაქიზე სულისა, რომელიც ერთნაირად ნაკადულსავითა სჩქეფს ქალწულშიაც და მაისშიაც და რომელიც ცოდვილსაც და უცოდველსაც ნეტარ გრძნობას უბადავს!..

აი, თუნდა შევადაროთ თინათინი მაისს. ღმერთი, რჯული, ძნელი სათქმელია—რომელი რომელს ამშვენებს?—თინათინი მაისს, თუ მაისი თინათინს?! მხოლოდ ეს კი აშკარაა—რომ ერთმანეთს ძალიან უხდებიან და, რამდენადაც მაისია მომხიბვლელი, იმდენადვე თინათინ არის მომჯადოვებელი!... ორივე ყვავილოვანია, საამო სუნნელების მკმეველია.. ორივე ერთნაირად ამკობენ ქვეყანას, ორივე ბუნების შვილია, ორივე სიმბოლოა განახლებისა და სიწმიდისა!..

მერე რომ კიდეც თანაუგრძნობენ—და ერთმანეთს!.. გეგონებათ თინათინი დღესასწაულობს ბუნების განახლებასა და მაისი-კი თინათინის გამარჯვებასაო.

ერთის სიტყვით—თინათინი ჰმაისობს და მაისი-კი ჰთინათინობს, თუ ასე ითქმის.

ოცნებისაგან გამორკვეული ქალის ყურადღება ბუნების სიკეკლუცემ მიიზიდა.

ახედა მაღლა ცას, სადღესასწაულო ლურჯ ხავერდოვან სამოსელში გამოწყობილსა, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებდა პაწია ქვეყანას და ის-კი მას ისე შეჰფარვოდა, როგორათაც არწივის ბარტყი დედის ფრთასა.

გადახედა მერე ოქროსფრად მოელვარე მზეს, რომელმაც იუკადრისა ქალისაგან თვალის გასწორება და ისეთნაირად გაიელვა, რომ თინათინმა ძალა-უნებურად თვალები მარჯვნივ გადაატრიალა და თეთრად აყვავებულ მცენარეებზე შერჩა. ეს მცენარეები ქურდულად გადმოხრილიყვნენ დაბალ კედელზე და, დაუდგრომელ ნიავისაგან ამოძრავებულნი, ქალს თავს უქნევდნენ, გეგონებოდათ სალამს უძღვნიანო.

თინათინმა უყურადღებოდ ვერ დასტოვა ეს მისალმება, შეჩერდა, ხელები გაიწვდინა, ფეხის ფრჩხილებზე შესდგა და ხეს პატარა ყლორტი მოჰგლიჯა.

ოჰ, რა მშვენიერი იყო ეს კდემამოსილი ქალწული, როცა იმ ხეს სწვდებოდა. პაწია და გამოკვანწულ ფეხიდან დაწყებული—ოდნავ ათრთოლებულ თლილ თითებამდე იგი მიემსგავსებოდა ამ ყვავილების მეფას, ხარკის მოსაკრეფად ქვეყნად ჩამოსულს.

მისი სახე სულის წარმტაცის მეტყველებით ამოძრავებულიყო—მასზე იხატებოდა ის წადილი, რომ მალე დაეყნოსა ის ყვავილები, დამთვრალიყო მათის სუნნელებით...

დაშავებულმა ხემ, დაკოდილ ფრინველსავით, ისე მწარედ აიქნივ-დაიქნია ტოტები, თითქოს ქალს საყვედურს ეუბნებოდა: „განა ჩემს ალერს ეგ პასუხი შეჰფეროდაო“.

მაგრამ თინათინი ვერ მიჰხვდა, რომ ხეს ტკივილი აგრძნობინა. იგი გატაცებით, აღგზნებულ არშიყსავით ჰყნოსავდა პაწია ყვავილებს, რომლებსაც, ქალის მშვენიერ სახის სიახლოვისა-გამო, ტკივილი მთლად დაჰყუჩებოდათ და თავისის ყვითელის თვალებით კეკლუცად უღიმოდნენ; ამავე დროს ნაზად, სათუთად უამბორებდნენ თინათინის ლოყებს და აქა-იქ მარგალიტის მსგავს ნამს ასხურებდნენ.

ამით არ გათავდა ეს სალამი—უეცრად საიდგანღაც გაჩნდა გულყვითელა მერცხალი, შემოჯდა თინათინისაგან დაკოდილ ხის ტოტზე და რაღაც ჩაარაკრაკა. ვინ იცის? იქნება ხეს ანუგეშებდა, ეუბნებოდა: „ნუ სჩივი ჩემო კარგო! მარტო შენ არა ხარ ადამიანისაგან დასჯილი, მეც შენს ტაფაში ვიწვი; აი, თუნდა ახლა,—ადამიანის დაუნდობელმა გულმა საბუდარი დამიშალა და დავდივარ ასე უგზო-უკვლოდ“ო.

მაგრამ თინათინს ეს მისამძიმრება სულ სხვა ჰანგათ შემოესმა; მას მოეჩვენა, რომ ფრთოსანიც მე მეჭიკჭიკებაო და ამის განცდამ იგი ნეტარებით აღავსო, მთელი არსება უზენაესის სასოებით გაეჟღენთა, თვალებზე სიტკბოების ცრემლი მოადგა... იგი გრძნობდა, რომ ბუნების ყოველი სახებაც-კი ჰხარობდა მისის ბედნიერებით და მის გულის სადღესასწაულო ძგერას ხმა-შეწყობილად ტკბილ ბანს ეუბნებოდა...

„ჩქარა სახლისკენ... თორემ, ღმერთმანი... ცრემლი მომივა... შენ შემოგევლე, დედა, რა ბედნიერნი ვართ...

თინათინმა ნაბიჯს მოუჩქარა.

ი. ელეფთერიძე.

(დასასრული იქნება).

ბოლოს გასული ხარჯი მოგებიდამ შემოსულმა გაასწორა და ამ სახით მინუსი და პლიუსი გასწორდა. აი, თქვენს წინაშე აიხსნა ეს ნიღაბიც... ეს არავისთვის საიდუმლო არ იყო. ყველამ იცოდით, რომ რაც დავხარჯეთ ქარვასლის გადაკეთებაზე თქვენისვე ნება-რთვით მიღებული იყო და ჩაწერილი დასაბრუნებელ ხარჯად და ყველამ იცით, რომ თანახმად თქვენისავე გარდაწყვეტილებისა დაბრუნებული იქმნა იმ ხანის განმავლობაში, რაიც თქვენვე დაგვინიშნეთ. ეხლა გკითხავთ: რას ჰქონდა ჩამოფარებული ნიღაბი?

(შემდეგი იქნება).

გრ. აბაშიძე.

## მცირე შენიშვნა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული სცენის დამამშვენებელი, ჩვენი ნიჭიერი და ხელოვანი არტისტი-ქალი ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა რუსეთში აპირებს წასვლას საექიმოდ. ეს მესამე წელიწადია ხსენებულს მსახიობს ყურთა სმენა დააკლდა, რაც შესამჩნევად უშლის მას სცენაზე თავისუფლად მოძრაობას. აქაურ ექიმებს ურჩევიათ რუსეთში წასვლა საექიმოდ და, რადგანაც ამ მოგზაურობისათვის კარგა ბლომა ფული იქნება საჭირო, ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა წარმოდგენის გამართვას აპირებს.

ყველამ უწყის, რომ ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა ერთი უმთავრესი დედაბოძთაგანია ქართულის ხელოვნებისა და მისი უდროვოდ დაკარგვა, მერე ახლა, როდესაც საიმისო როლებზე ჯერ არავინ გამოჩენილა, მეტად თვალსაჩინო ღილს დაასვამს ჩვენს სცენას და შესამჩნევად დააბრკოლებს მისს განვითარებას.

ამის გამო, დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი ქართველი, ტფილისში მყოფი, თავისს უწმინდესს ვალად ჩასთვლის დაესწროს ამ წარმოდგენას და ხელი შეუწყოს ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის განზრახვას!

დღე წარმოდგენის გამართვისა თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლორდ სოლსბერის მდგომარეობა არ არის მთლად ხეირიანად. თუმცა დიდი უმეტესობა ჰყავს პარლამენტში, მაგრამ გარეშე საქმეთა და კოლონიათა პოლიტიკამ ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩააგდო სამინისტრო, რომ თვით უკიდურესი რადიკალი ლაბუშერიც გაჩუმებულია და აღარას ეკითხება სამინისტროს ამით არა ვავნოთ რა სახელმწიფო საქმეებსო. ტრანსვაალის საქმეებმა მაინც მეტი უკმაყოფილება მიაყენა ინგლისს. ჯერ ეგონათ თუ საქმე იმითი გათავდებოდა, რომ ჯემსონსა და იოჰანესბურგის რევოლიუციონერებს დაატყდებოდათ თავზედ. მაშინ ინგლისის მთავრობას არა მოეცხებოდა-რა. ეხლა გამოცხადებულია დეპეშები იოჰანესბურგის რევოლიუციონერებისა, რომლიდამაც სჩანს, რომ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებთაც მიუღიათ მონაწილეობა ამ საქმეში. როდესის მონაწილეობა ხომ საეჭვო აღარ არის და იგი კაპის ახალშენის პრემიერი იყო და დედოფლის საბჭოს წევრად მოწოდებული. დამტკიცებულია, რომ ისა და დირექტორი ინგლისის სამხრეთ აფრიკის კამპანიისა და რამდენიმე წევრი ამ კამპანიისა ურევიან იმ შეთქმულობაში, რომელიც ტრანსვაალის რესპუბლიკის წინაამდეგ მოხდა, რომელთანაც ინგლისი კარგს განწყობილებაში იყო დღემდის.

შინაგან საქმეებშიაც არ მოსდის დუშაში ინგლისის ეხლანდელს სამინისტროს. მართალია არიან ის რადიკალური გაზეთები, რომელნიც ამბობენ, რომ სამინისტრომ ისეთი რეფორმების შემოღება მოისურვა, რომელნიც დიდად არაფრად ეჭაშნიკებათ ხალხსაო. ყველაზედ უფრო გაცხარებასა და წინაამდეგობას იწვევს კანონ-პროექტი მიწათ-მომქმედ-დახმარების შესახებ. აპირებენ მრავალი შესწორება წარადგინონ ამ პროექტისა. ერთი დეპუტატი უელსისა ლოიდ-ჯორჯი აპირებს ითხოვოს, რომ სახელიც-კი გამოუცვალონ ამ კანონ-პროექტს და დაარქვან: „კანონ-პროექტი მდიდრების დახმარების შესახებ ღარიბების ხარჯზედ“. მრავალი დეპუტატი აპირებს პირადად მინისტრებისათვის არა სასიამოვნო შესწორება წარადგინოს. სამინისტრო ჰპირდება დეპუტატებს, ამ კანონს მხოლოდ ხუთის წლით შემოვიღებთო, მაგრამ ეს ვერას შველის და წინააღმდეგობა დღითი-დღე ძლიერდება.

**ეგვიპტე.** «ნევიორკ ჰერალდს» ატყობინებენ, რომ მეტად ძნელი ხდება დონგოლის ექსპედიციის სისრულეში მოყვანაო. ყველაზედ უფრო სახიფათოა ჯარების სურსათის გადატანა. ძალიან ცოტა გემებია და ნავები, ცოტა ვაგონებია, ასე რომ შემოდგომამდის საეჭვოა გადაიტანონ იმდენი სურსათი, რომ საზამთროდ ეყოთ. რკინის გზის კეთება სარასიდამ აკაშეხამდის ერთობ გვიანობს. წყალის მოტანაც გაძნელებულია. დერვიშთა ძალები 110,000 კაცამდის ადის, 40,000 მათგანი შეიარაღებულია. მაგრამ ამათგან მეოთხედის მეტი ვერ მიიღებს მონაწილეობას ომში.

**ბულგარია.** ბულგარიიდამ მთავრის წასვლას საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. მართალია ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ მათს მთავარს ასეთის პატივისცემით ეპყრობიან ყველგან, მაგრამ თანაც ამ კმაყოფილებასა და სიხარულს ქვეშ იხედება შიშის მომასწავებელი სევდა. რამდენად უფრო პატივისცემით იღებენ მათს მთავარს, იმდენად უფრო ეკითხებიან თავისს თავს, მაგრამ რას მოგვთხოვენ ამის სამაგიეროსო. ამის მიზეზი უნდა იყოს ისიც, რომ ხმა გავრცელდა, ბულგარიის ეკლესიას საბერძნეთის პატრიარქს უმორჩილებენო. მაგრამ როცა ოფიციალურად ეს ხმები გამტყუნდა, მაშინ სხვა კითხვები წამოაყენეს. ბულგარიის ეხლანდელის მთავრობის მომხრეებს ეგონათ, რომ მაკედონიაში რეფორმების შემოღება ჩვენს სრულს გამარჯვებას ნიშნავსო, მაგრამ დღეს, როცა დაინახეს რაში მდგომარეობდა ეს რეფორმები, ცოტა არ იყოს იმედი გაუცრუვდათ და ოპოზიციამ უფრო ხმა-მაღლად დაიწყო ლაპარაკი. ეს რეფორმები ბერლინის ტრაქტატის მოთხოვნილებასაც-კი არ ასრულებს და სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელს მაკედონელებს.

ბულგარელებს არ მოსწონთ ისიც, რომ მთავრობამ ბევრი რამ დაუთმო ოსმალეთის მთავრობას. ბულგარიის მთავარს მისცა სულთანმა განსაკუთრებული ფირმანი, რომლითაც აღიარა აღმოსავლეთი რუმელიის გენერალ-გუბერნატორად, ეს-კი ოპოზიციის აზრით 1885 წელში რუმელიისა და ბულგარიის გაერთიანების უარ-ყოფაა. სულთანმა დანიშნა ბულგარიის თავადი თავისს ადიუტანტად, შეზღუდა მისი უფლება ორდენების გაცემისა და, საზოგადოდ, როგორღაც მეტად დაიმორჩილა დიპლომატიურის მხრით თავადი. ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს თითქო სულთანის მფარველობის ქვეშ იმყოფება. გზაზედ ხვდებიან და აცილებენ ოსმალეთის ელჩები, ეს ელჩები ესწრებიან ყოველს სადღესასწაულო ნადიმებზედ. სადღეგრძელოს დალევენ ხოლმე ჯერ სულთანისას. სულთანმა გადაუხადა მადლობა მთავრის ასე კარგად მიღებისათვის სახელმწიფოებს. ყველა ეს უკმაყოფილებას იწვევს ხალხში, მართალია დიდი არაფერიაო, მაგრამ მაინც ჩვეულებად გადაიქცევა და გლახა არისო, და მერე კიდევ მეტად შეურაცხმყოფელია ბულგარელთა თავმოყვარეობისათვის. ამგვარებს ვერ დაავიწყებს მათ მაკედონიის უმნიშვნელო რეფორმები.

## თეატრის მატიანე.

გუშინ-წინ, 3 მაისს, ჩემდა სამწუხაროდ დავესწარი ქართულს წარმოდგენას! ჩემდა სამწუხაროდ, ვამბობ იმისათვის, რომ წარმოდგენილი პიესა იყო ნიმუში ისეთის უნიჭობისა და უგუნრობისა, ისეთის გონებითის სიღატაკისა და არარაობისა, რომ მისის მსგავსის წარმოდგენაც-კი შეუძლებელია... რა იყო? იკითხავს მკითხველი—გვიამბე შინაარსი პიესისაო? გარწმუნებთ, რომ გარდა შემდეგისა არა შემიძლიან რა მოგახსენოთ: პიესას სახელად ეწოდებოდა „ძველი და ახალი თაობა“; სამ-მოქმედებად იყო გაყოფილი და ავტორის სახელი იყო აღნიშნული ასოთი N. შინაარსი ისე იყო დამალული, როგორც მისი ავტორი, ინტერესი და სიცოცხლე პიესისა ისე დამარხული, როგორც ძვლები გეროსტრატისა...

გასაკვირველია ორი გარემოება: 1, ის, რომ ჩვენი საზოგადოება ისეც გულგრილად ეპყრობა თეატრის საქმეს და თუ ასეთი, ყოველისავე გონებისა, გრძნობის და ცხოვრების სიმართლეს მოკლებული „პიესები“ მივაწოდეთ და თავგასულის კადნიერებით ჩამოვართვით უკანასკნელი გროში ათასის სხვა გვარის საჭიროებისათვის განაწილებული, რასაკვირველია, სულ აიღებს ხელს ჩვენს თეატრზე და საფუძველიც ექნება. აი, რას ნიშნავს ის სამწუხარო გარემოება, რომ დრამატიული საზოგადოება ამ დროით არ განაგებს წარმოდგენების საქმეს და თვითოეული ალვირ-წახსნილი იქით გარბის, საითაც ჰსურს და ჰმოქმედებს, როგორც უნდა!..

2, გაოცებული ვართ, რომ ჩვენმა ნიჭიერმა არტისტებმა, როგორც გ.ბ. ალექსი-მესხიშვილი და ყიფიანი ბრძანდებიან, თანხმობა განაცხადეს ამ ყოვლად უვარგის „პიესაში“ მონაწილეობის მიღებისა!? მარტო საცოდავობა იყო, როდესაც ხედავდი ამ არტისტებს სცენაზე, როგორც მუნჯს ავტომატებს და მოჩვენებათ; თითქოს საიქიოდამ მოსულნი ტიალ მინდორზედ უგზო-უკვლოდ დატრიალებენო!..

თეატრის მოყვარული.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 მაისი.

**მოსკოვი.** 3 მაისს მოვიდნენ ელლინთა (საბერძნეთის) დედოფალი ბატონიშვილს გიორგითა და ნიკოლოზით ამალით. მოვიდნენ აგრეთვე დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე უავგუსტოესის მეუღლით და შვილებით და დიდი მთავრინა ვერა კონსტანტინეს ასული ქალიშვილებითა და ამალით. რკინის გზის სადგურიდამ მათმა უმაღლესობამ შეიარა ივერიის სამლოცველოში.

**პარიზი.** „ფიგარო“ იუწყება, რომ პრეზიდენტი ფორი 4 მაისს, ღამით, მიდის საზღვარზედ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სანახავად. პრეზიდენტს თან იახლება გენერალი ბილო და მინისტრი ჰანოტო.

იმპერატორმა ვილჰელმა უბრძანა გერმანიის სამხედრო აგენტს პარიზში: გამოუცხადე ფორს ჩემი მწუხარება იმის შესახებ, რომ ალჟირში სამხედრო ორთქლით მატარებელს უბედური შემთხვევა მოუვიდაო. ფორმა შეუთვალა საფრანგეთის ელჩს ბერლინში მიჰმართე თხოვნით ფონ-მარშალს მადლობა გამოუცხადოს იმპერატორსაო.

**კარლსრუე.** მემკვიდრე დიდი ჰერცოგი ბადენისა მიდის 4 მაისს მოსკოვში.

**ლონდონი.** კერზონმა განაცხადა პარლამენტში, რომ ალეპოში სომეხთა რამდენიმე ტუსაღი განათავისუფლეს ინგლისის მართებლობის წინადადებით.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,60 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 214 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101 | — „ | — „ |
| 4% იმავე ბანკისა . | 97¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—114).

ქირავდება

ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.




(50—505—7)